ქართული

როგორც მეორე ენა

5

ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე
გიორგი ჭაუჭიძე

სახელი და გვარი

_____

ქალაქი/სოფელი

_____

სულაკაურის
გამომცემლობა

სავარჯიშოების რვეული

სარჩევი

ბიბლიოთეკაში	4
პროფესიები	10
ოჯახი	16
როცა პატარა ვიყავი	20
გასული ზაფხული	24
ახალი წელი	30
კვება და ჯანმრთელობა	42
თავისუფალი დრო	50
საყვარელი შინაური ცხოველი	60
სტუმრად დედაქალაქში	64
დაბადების დღე	72
ზოოპარკში	78

1 ბიბლიოთეკაში

სავარჯიშო 4. **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ეს არის ბიბლიოთეკა - ეს ბიბლიოთეკაა.

გარი არის ბიჭი. _____

აისუ არის 11 წლის. _____

დათო არის მოსწავლე. _____

თევზი არის წყალში. _____

ეს არის წიგნი. _____

ეკა არის სკოლაში. _____

დავალებები 5-6 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 7. **უპასუხე შეკითხვებს ნიმუშის მიხედვით:**



ნიმუში: სად არის წიგნი? წიგნი თაროზეა.

სად არის ფინჯანი?

_____

სად არის გოგონა?

_____

სად არის თევზი?

_____

სად არის პეპელა?

_____



სად არის ჩიტი?

_____

სავარჯიშო 9. **დაწერე წინადადება სხვაგვარად ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: სხვა კარადებშიც არის საბავშვო წიგნები.
სხვა კარადებშიც საბავშვო წიგნებია.

ა. თაროების წინ არის მაგიდა.

_____

ბ. პირველ თაროზე არის ლექსიკონები.

_____

გ. ყველა თაროზე არის ფერადი წიგნები.

_____

დ. ბიბლიოთეკაში არის ბიბლიოთეკარი.

_____

სავარჯიშო 10.

ა. **გადაიყვანე მრავლობით რიცხვში:**

ნიმუში: წიგნი – წიგნები

ლექსიკონი – _____

კომიქსი – _____

ნახატი – _____

პოსტერი – _____

ალბომი – _____

მსახიობი – _____

ბ. დააკვირდი და უპასუხე შეკითხვას: რომელი ბგერა იკარგება მრავლობითში?

ნიმუში: ენციკლოპედია, მაგრამ ენციკლოპედი.ები – იკარგება ა

კარადა, მაგრამ კარად.ები – იკარგება ___

კედელი, მაგრამ კედ.ლები – იკარგება ___

ფანჯარა, მაგრამ ფანჯ.რ.ები – იკარგება ___ და ___

01

სავარჯიშო 11. მოუსმინე დიალოგებს ბიბლიოთეკაში და აღნიშნე, სწორია თუ არა მოცემული წინადადებები.

ა. საუბრობენ სკოლის ბიბლიოთეკაში.

ბ. აისუ ნაბიევა პირველადაა სკოლის ბიბლიოთეკაში.

გ. გარი ანტონიანი პირველად არის სკოლის ბიბლიოთეკაში.

01

სავარჯიშო 12. კიდევ ერთხელ მოუსმინე დიალოგს და შემოხაზე სწორი პასუხი:

I. რა გვარია აისუ?

ა. ჯაფარლი. **ბ.** მამედოვი. **გ.** ასანიძე.

II. რამდენი წლისაა აისუ?

ა. თორმეტის. **ბ.** ცამეტის. **გ.** თერთმეტის.

III. გარი არის

ა. ათი წლის. **ბ.** ცხრა წლის. **გ.** თერთმეტი წლის.

IV. რა წიგნი ჰქონდა ბიბლიოთეკიდან წაღებული გარის?

ა. „ტომ სოიერის თავგადასავალი“.

ბ. „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“.

გ. „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“.

სავარჯიშო 13. დიალოგების მოსმენისას შეავსე ქვემოთ მოცემული წინადადებები:

ა. აისუ პირველად არის _____ .

(ბიბლიოთეკაში/ბიბლიოთეკასთან)

ბ. აისუ და გარი არიან მეხუთე _____ .

(კლასთან/კლასში)

სავარჯიშო 14. დაიყავით სამეულებად და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები. ერთი ბიბლიოთეკარი იქნება, ორი – მეხუთეკლასელი. წინასწარ მოიფიქრეთ, რას იტყვით.

სავარჯიშო 15. დაამზადე შენი ბიბლიოთეკის ბარათი.

ბიბლიოთეკის ბარათი #1

სახელი: _____

გვარი: _____

დაბადების თარიღი: _____

სკოლა: _____

კლასი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

ჩემი საყვარელი საგანია (მონიშნე):

- ☐ ქართული ენა
- ☐ ლიტერატურა
- ☐ მათემატიკა
- ☐ უცხო ენა
- ☐ მე და საზოგადოება
- ☐ სპორტი
- ☐ ბუნება
- ☐ ხელოვნება
- ☐ მუსიკა

ჩემი საყვარელი წიგნია: _____

ბოლოს წავიკითხე: _____

სავარჯიშო 16. **ილუსტრირებული ლექსიკონის შექმნა.**

შექმენი ილუსტრირებული ლექსიკონი – ჩამოწერე ის ახალი სიტყვები, რომლებიც ამ თავში ისწავლე. სიტყვების გასწვრივ დახატე შესაბამისი ილუსტრაციები.

შენს ლექსიკონს თანდათან მიამატე ახალ-ახალი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა თავის შესწავლისას გაიგებ და სასწავლო წლის ბოლოს საინტერესო ილუსტრირებულ ლექსიკონს მიიღებ.

ნიმუში:



წიგნი

ილუსტრირებული ლექსიკონი

2

პროფესიები

დავალებები 1-2 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 3. დააკვირდი სურათს და მოცემული სიტყვები ჩაწერე შესაბამის ადგილას:

მასწავლებელი, პოლიციელი, სტილისტი, გიდი, აღმზრდელი, მკერავი, ექიმი, მიმტანი, მძღოლი, ფოტოგრაფი, მზარეული, გამყიდველი



სავარჯიშო 4. **დააკავშირე პროფესიები საქმიანობასთან ნიმუშის მიხედვით:**

მასწავლებელი	კერავს
პოლიციელი	იცავს წესრიგს
სტილისტი	ემსახურება კლიენტებს კაფეში
გამყიდველი	ყიდის
მკერავი	ასწავლის
ექიმი	მკურნალობს
მიმტანი	ჭრის თმას
მძღოლი	მართავს ვერტმფრენს
პილოტი	იღებს ფოტოებს
მზარეული	მართავს მანქანას
ფოტოგრაფი	ამზადებს საჭმელს

სავარჯიშო 5. **წაიკითხე ტექსტი. ნიმუშის მიხედვით ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები:**

მკერავი, ატელიეში, ტანსაცმელს, მიყვარს, მკერავი, კაბებს

მე _ვარ_ ნინო. პროფესიით ვარ _____ ვმუშაობ პატარა _____. მე ძალიან_____ ჩემი საქმე. ბავშვობიდან ვკერავ _____ თოჯინებისთვის. ახლა კი დიდი ადამიანებისთვის ვკერავ _____. ჩემი პროფესია ძალიან საინტერესოა. გინდა, შენც გახდე _____?

სავარჯიშო 6. **დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები (სინონიმები):**

სტილისტი	კულინარი
მზარეული	მფრინავი
მიმტანი	ოფიციანტი
მასწავლებელი	პარიკმახერი
პილოტი	პედაგოგი

დავალებები 7-9 შეასრულე წიგნში.

სავარჯიშო 10. **დააკვირდი სავიზიტო ბარათებს და შეავსე გამოტოვებული ადგილები შესაბამისი პროფესიებით:**

ლევან მაჩაბელი

_____

სამშენებლო კომპანია „შენება“
მისამართი: ქ. ბათუმი. აღმაშენებლის ქ. 10

ტელეფონი: 544323859

მიღების დღეები: ორშაბათიდან პარასკევამდე

ლიზა გაბრიჩიძე

_____

ატელიე „შარმი“
მისამართი: ქ. ყვარელი. მეგობრობის ქ. 13

ტელეფონი: 522323654

მიღების დღეები: ყოველდღე

არტურ მხითარიანი

_____

პოლიკლინიკა
მისამართი: ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის ქ. 12

ტელეფონი: 533423794

მიღების დღეები: ორშაბათიდან პარასკევამდე

სავარჯიშო 11. **დაამზადე სტილისტის სავიზიტო ბარათი:**

_____

_____ სტილისტი _____

სილამაზის სალონი _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

მიღების დღეები: _____

სავარჯიშო 12. **წარმოიდგინე, რომ მოგზაურობ. დაასახელე, რომელი პროფესიის ადამიანებს შეხვდები მოგზაურობის დროს:**

ა. ტრანსპორტში? _____

ბ. სასტუმროში? _____

გ. მუზეუმში? _____

დ. კაფე-ბარში? _____

02

სავარჯიშო 13. **წაიკითხე ტექსტი და ნახე ვიდეო გიორგი ქოჩქიანის შესახებ.**

გიორგი არის პატარა ქართველი ბიჭი. ის ცხოვრობს სვანეთში. სვანეთში ბევრი ტურისტი ჩადის და გიორგი არდადეგებზე ტურისტებთან მუშაობს. მას ძალიან მოსწონს ეს საქმე.

უპასუხე შეკითხვას:

ვინ არის გიორგი?

_____

_____

სავარჯიშო 14. **შემოხაზე სწორი პასუხები:**

გიორგი ქოჩქიანი არის

ა. 9 წლის **ბ.** 13 წლის **გ.** არ ჩანს

გიორგი ქოჩქიანი ცხოვრობს

ა. უშგულში **ბ.** თბილისში **გ.** არ ჩანს

გიორგი ქოჩქიანი მუშაობს

ა. 9 წლიდან **ბ.** 13 წლიდან **გ.** ჯერ მხოლოდ სწავლობს.

გიორგი ელაპარაკება

ა. მგზავრებს **ბ.** ტურისტებს **გ.** თანასოფლელებს

გიორგი ლაპარაკობს

ა. თავის სოფელზე **ბ.** თავის ქვეყანაზე **გ.** თავის სკოლაზე

სავარჯიშო 15. **შეავსე ცხრილი გიორგის პირადი მონაცემებით.**

სახელი	_____
გვარი	_____
ასაკი	_____
საცხოვრებელი ადგილი	_____
საქმიანობა	_____
ენების ცოდნა	_____

სავარჯიშო 16. **დაასრულე წინადადებები.**

გიორგი ფლობს ოთხ _____.

გიორგი ესაუბრება _____.

გიორგი ახლა სწავლობს მეხუთე _____.

სავარჯიშო 17. **უპასუხე შეკითხვებს სრულად:**

რას საქმიანობს გიორგი ქოჩქიანი?

რომელ ენებს ფლობს გიორგი?

რომელ ენას სწავლობს გიორგი ახლა?

ვის ესაუბრება გიორგი?

რის შესახებ უყვება გიორგი ტურისტებს?

სავარჯიშო 18. **იმსჯელე:**

ა. 13 წლის გიორგიმ უკვე ოთხი ენა იცის. როგორ ფიქრობ, რა დაეხმარა გიორგის ენების სწავლაში?

ბ. როგორ ფიქრობ, ენების ცოდნა მხოლოდ გიდისთვისაა საჭირო?

გ. შენ რამდენ ენას სწავლობ და რაში გამოიყენებ შესწავლილ ენებს?

სავარჯიშო 19. **დააკავშირე ანტონიმები:**

საინტერესო	მარტივი
რთული	არაპოპულარული
საშიში	უინტერესო
პოპულარული	უსაფრთხო

სავარჯიშო 20. **დაწერე, როგორია გიდის პროფესია. ამაში დაგეხმარება მე-19 სავარჯიშოში მოცემული სიტყვები.**